სამშობლო დედის ძუძუს არ გაიცვლება...

1991
შაბათი
14
დეკემბერი
№ 133 (11522)
ფასი 5 კაპ.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურისა და საკრებულოს ორგანო
გაზეთი გამოდის [illegible]

ევროპაში ერთ-ერთმა უდიდესმა სახელმწიფომ უკრაინამ ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

ქართველი ხალხის ამ დიდ სიხარულს, ჩვენი ხმაც შევუერთოთ, ძვირფასო ზუგდიდელებო!

# ჩვენ თვითონ ვამყარებთ კონტაქტებს

დასაბამიდან ასე იყო. ყოველ საწარმოს თავისი ზემდგომი უწესებდა გეგმას, რა თანხისა და მოცულობის პროდუქცია გამოეშვა და ქვეყნის რომელი რეგიონისთვის რა რაოდენობით მიეწოდებინა. საწარმოს კი არავინ უწევდა ანგარიშს, შეძლებდა თუ არა ზემოდან დაშვებული გეგმით გათვალისწინებული პროდუქციის გამოშვებას და მიწოდებას მომხმარებლისათვის. თუ გეგმის შესრულებას რეალური საფრთხე შეექმნებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა ამ საწარმოს ხელმძღვანელის ყოფნა-არყოფნის საკითხი. გეგმის შეუსრულებლობის მიზეზების შესწავლისას არავინ ითვალისწინებდა იმ ობიექტურ გარემოებას, რამაც გამოიწვია ჩამორჩენა. შემმოწმებელსაც და წარმოების უფროსსაც უნდა ეხელმძღვანელა საყოველთაოდ დამკვიდრებული დევიზით.—გეგმას კანონის ძალა აქვს და უნდა შესრულდეს.

საქმისადმი ასეთი მიდგომა იწვევდა იერიშობანას, სიჩქარეს, რაც ხშირ შემთხვევაში უხარისხო პროდუქციის გამოშვებაში იჩენდა თავს. საბოლოო ჯამში თითქმის, არც ერთი საწარმო არ იყო დაზღვეული რეკლამაციებისა და ჯარიმებისაგან. ეს ერთი პატარა დეტალია, რომელიც დამახასიათებელია სოციალისტური წყობის საწარმოს სტრუქტურისათვის. საწარმოს ხელმძღვანელ... ოჯახურ ბიუჯეტს, რომ ოდნავადაც ეგრძნო წუნდებული პროდუქციის გამოშვების გამო მომხმარებლის რეკლამაციით გამოწვეული მატერიალური ზარალი, მაშინ იგი ყოველ ღონეს მიმართავდა, რომ მსგავსი ფაქტი არ განმეორებულიყო. არა და რამდენი ისეთი ფაქტი ვიცით, რო-ცა საწარმომ ათეული ათასობით მანეთი გადაიხადა ჯარიმის სახით მომხმარებელი ორგანიზაციის სასარგებლოდ.

მართალია, ჩვენს საწარმოს არსებობის დიდი ხნის ისტორია არა აქვს და არც მომხმარებლისგან მიგვიღია რეკლამაცია, მაგრამ ეს დღეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ჩვენც, როგორც სხვა საწარმოთა კოლექტივები ყოველნაირად ვცდილობდით არ დაგვერღვია სახელშეკრულებო ვალდებულებანი. დაწესებული გეგმის მიხედვით ვაწვდიდით მომხმარებელს მზა პროდუქციას საბჭოთა კავშირის ყველა რეგიონში. ს... ლაც არ ვიყავით დაინტერესებული საკუთარი ინიციატივით დაგვემყარებინა კონტაქტები სხვადასხვა რეგიონის მომხმარებლებთან. ვკმაყოფილდებოდით იმით რომ გადაგზავნილ პროდუქციაში გვიხდიდნენ სახელმწიფოს მიერ დაკანონებულ ფასებს.

საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობისათვის მზადებამ თავისუფალი ფასების შემოღებამ ხელფეხი გაგვიხსნა. მოგვეცა საშუალება ჩვენ თვითონ ვეძებოთ გზები და საშუალებები, რათა უშუალო კონტაქტები დავამყაროთ მომხმარებელთან. კონკრეტულად რომ ვთქვათ, ჩვენი ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქცია იმათ მივყიდოთ, ვინც ჩვენთვის უფრო ხელსაყრელ პირობებს შემოგვთავაზებს. ერთი სიტყვით, საწარმომ კურსი ბარტერული გარიგებებისაკენ აიღო. ამით არც ის მომხმარებელი წააგებს, ვინც ჩვენთან კონტაქტს დაამყარებს და არც ჩვენი საწარმო. ეს პროცესი იმანაც დააჩქარა, რომ საქართველოს რესპუბლიკა კრემლის იმპერიის „წყალობით“ ეკონომიკურ ბლოკადაშია მოქცეული. ახლა თითქმის არაფერი შემოდის რუსეთის რეგიონებიდან. ასეთ დროს ჩვენ რატომ უნდა ვგზავნოთ დეფიციტური სურნელოვანი ქართული ჩაი, რომელზეც ძალზე დიდი მოთხოვნილებაა ქვეყნის ნებისმიერ რეგიონში.

მომავალი წლიდან გაიზრდება ჩვენი კონტაქტები ქვეყნის შორეულ მხარეებთან, ქალაქებთან, ოლქებთან და რაიონებთან. სავაჭრო ურთიერთობას დავამყარებთ უცხოეთის ქვეყნებთან, შევქმნით ერთობლივ საწარმოებს საზღვარგარეთის ფირმებთან, რაც ვალუტის ერთერთი შემოსავალი წყარო იქნება. გამოშვებულ პროდუქციას ძირითადში ბარტერული წესით გავცვლით. შემოვიტანთ ისეთ საქონელს რომელიც ყველაზე მეტად სჭირდებათ ჩვენი ქალაქისა და რაიონის მშრომელებს. ეს იქნება კვების პროდუქტები: პურის ფქვილი, შაქარი, ...რაქი, ხორცი, მცენარეული ზეთი, სამშენებლო მასალები და სხვა.

თუ ჩვენი ქალაქის ყველა საწარმო ასეთ კურსს აიღებს, მომავალ წელს ზუგდიდში არ უნდა გაჭირდეს მინიმალურად მაინც დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნები კვების პროდუქტებზე. ეს ყველაფერი მომავლის საქმეა და ამისათვის ყველა საწარმოს ხელმძღვანელმა უნდა იზრუნოს.

ბარტერულ გაცვლაზე მაშინ უნდა იფიქროს საწარმოს ხელმძღვანელმა თუ აქვს რამე გასაცვლელი. მაგრამ ეს უკანასკნელი რომ გქონდეს ამისათვის გამრჯე შრომაა საჭირო. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს საწარმოში. თუ მიმდინარე წლის 11 თვის და მათ შორის ბოლო ერთი თვის ნოემბრის შედეგებს გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ იგი არც ისე ურიგოა, 11 თვეში 49.288 ათასი მანეთის მაგიერ გამოშვებულია 51.298 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი. 36.336 ათასი მანეთის ნაცვლად 38.511 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, რაც პროგნოზით გათვალისწინებული დავალების 106 პროცენტს შეადგენს. მოწოდების დავალება შესრულებულია 100 პროცენტით. გამოშვებულია 2283 ტონა შავი ბაიხის ჩაი და 2194 ტონა მწვანე აგურა ჩაი.

სახალხო მოხმარების საქონლის ნოემბრის თვის დავალება შესრულებულია 140,2 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციისა 155,5 პროცენტით, მოგებისა 135,7 პროცენტით, შავი ბაიხის დაფასოებისა 152 პროცენტით, მწვანე აგურა ჩაისა 100 პროცენტით.

როგორც ყოველთვის მოწინავე პოზიციებს არ თმობენ დაფასოების საამქროს (უფროსი მ. ლაკირბაია), საწნეხი საამქროს (უფროსი ჯ. ბეშია) და მზა პროდუქციის საამქროს (უფროსი თ. ვეზდენი) შრომითი კოლექტივები. დღიურ ნორმებს დიდი გადამეტებით ასრულებენ მუშები გ. სოსელია, გ. კონჯარია, ზ. ქაძანაია, რ. თოდუა, ა. ნანავა, გ. შენგელია და სხვები.

ფაბრიკის კოლექტივის მიერ სამეურნეო წლის დაწყებიდანვე აღებული კურსი იმის გარანტიას გვაძლევს რომ წარმატებით იქნება შესრულებული პროგნოზით გათვალისწინებული ყველა სახის პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება.

ნ. გულუა,
ჩაის საწნეხი ექსპერიმენტალური ფაბრიკის დირექტორი,
ა. ოყუჯავა,
მთავარი ეკონომისტი.

ქართველ ტრადიციონალისტთა სამეგრელოს სამხარეო გაერთიანების ზუგდიდის განყოფილება გაუწყებთ, რომ 19 დეკემბერს, ხუთშაბათს, მოწვეულია ღია კრება, დასწრება ქ. ტ. კ.-ს წევრთათვის სავალდებულოა.

ქ. ტ. კ-ს ზუგდიდის განყოფილება

# ძვირფასო თანამემამულენო!

მამულის ალორძინების საზოგადოება უნდა გახდეს მამულის ალორძინების საწინდარი. ის არის დამოუკიდებელი არაპოლიტიკური ორგანიზაცია, რომელმაც უნდა გააერთიანოს ყველა პატრიოტი მამულიშვილი, ვისაც გული შესტკივა მის ავ-კარგზე.

ამ საზოგადოების დაფუძნების ინიციატორთა შორის არიან ცნობილი ქართველი მეცნიერები, მწერლები, ინჟინრები, საზოგადო მოღვაწენი.

მამულის ალორძინების საზოგადოების დაფუძნებას მიესალმა ბატონი ზვიად გამსახურდია.

ა-წლის 20 დეკემბრისათვის დანიშნულია საზოგადოების დამფუძნებელი ყრილობა, რომელიც გაიმართება თბილისში, დღის 11 საათზე საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში.

მანამდე ქ. ზუგდიდში 17 დეკემბერს, პრეფექტურის დარბაზში დღის 12 საათზე შედგება საზოგადოების წევრთა 1-ლი შეკრება, რომელიც აირჩევს 25 დელეგატს რესპუბლიკური ყრილობისათვის.

ყველას, ვისაც გული შესტკივა ქართული სოფლის ალორძინებაზე, ეკოლოგიური და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, გთხოვთ მობრძანდეთ რაიონულ შეკრებაზე.

საორგანიზაციო საკითხებზე მიაკითხეთ ბატონ ხვიჩა ბენდელიანს. მე-3 სართული, მე-18-ე ოთახი.

საორგანიზაციო კომიტეტის სახელით: პროფესორი გივი გაჩეჩილაძე, პროფესორი მიხეილ ლოლობერიძე, მწერალი ჭოლა არაგული, უზენაესი საბჭოს მიწათსარგებლობის კომისიის თავმჯდომარე, დეპუტატი ზურაბ მაქაცარია, პროფესორი, დეპუტატი თემურ ჩლინარაძე.

# ვიღაცა ისევ ამღვრევს წყალს

უკანასკნელ ხანს ჩვენს რესპუბლიკაში ერთგვარად დაისახა პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციის ტენდენცია. ორმხრივი მოლაპარაკების შედეგად გაჩნდა იმის პერსპექტივა, რომ თბილისის ზღვასთან დაბანაკებული ეროვნული გვარდიის ნაწილებს კონსტიტუციური სტატუსი მიენიჭოს. ასევე ოფიციალურ სტრუქტურებში უნდა მოექცეს ყველა სხვა შეიარაღებული ფორმირება ... ამით გაკეთდეს ეროვნული საქმე. მაგრამ დამნანი და ალმაშფოთებელი ისაა, რომ ცალკეული დესტრუქციული ძალები კვლავ ცდილობენ შფოთისა და არეულობის გაღვივებას. ამის მაგალითია ამ ბოლო ხანებში მარნეულში შექმნილი ვითარება. ეტყობა, ვიღაცა თავის ავანტიურისტულ პოლიტიკას თავზე ახვევს ამ ურთულეს რეგიონს, რათა ერთმანეთს დააჯახოს სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები ნუთუ ისეთი გულუბრყვილონი უნდა ვიყოთ, რომ არ მივუხვდეთ ავ ჩანაფიქრს და არ ვამხილოთ ისინი. ამ რეგიონში დაძაბულობის ესკალაციით მტერი ცდილობს საქართველოს დამოუკიდებლობა შეაჩეროს. ბოროტი ძალები შურლს ალვივებენ ახალზენთშიც. ამაზე მეტყველებს აქ ბოლო დროს მიღებული არაკონსტიტუციური გადაწყვეტილებები. შექმნილი მდგომარეობა გვკარნახობს ფხიზლად ვიყოთ და გავატაროთ ის ღონისძიებები, რომლებიც ამ რეგიონში ვითარების ნორმალიზებას შეუწყობს ხელს.

შ. ხეთია,

## ქ. ზუგდიდის საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა მიმართვა მოსახლეობისადმი

# ვიყვარდეს ჩვენი ქალაქი

პატივცემულო ზუგდიდელებო!

ქალაქის საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებმა გადავწყვიტეთ, ყოველკვარტალურად, ან თუ საჭირო იქნება უფრო ხშირადაც შეგხვდეთ, ჩაგაბაროთ ანგარიში ჩვენს მიერ ჩატარებულ მუშაობაზე, გითხრათ არსებულ პრობლემებზე და თქვენთან ერთად დავსახოთ გზები მშობლიური ზუგდიდის კეთილდღეობისათვის, სანიმუშო ქალაქად და რაიონად გადასაქცევად. ახლოებურად გვინდა მივუდგეთ ქალაქის გამწვანების, კეთილმოწყობის, წყლით მომარაგების, გათბობის, ქუჩებისა და მისასვლელი გზების მოწყობის, საქალაქო ელექტროქსელის, ქალაქგარეუბნების, ტროლეიბუსით მომსახურების, დასუფთავების, მოსახლეობის საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილების, საცხოვრებელი ფართის პრივატიზირების და სხვა პრაქტიკულ საკითხებს.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ თქვენს მიერ გამოთქმულ შენიშვნას, საქმიან წინადადებას, ფინანსურ თუ მორალურ დახმარებას ყველაზე მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია. იქნებ ჩვენს განყოფილებაში შევქმნათ საზოგადოება „ზუგდიდელი", რომლის წევრი შეიძლება გახდეს ყველა მოქალაქე, სახელმწიფო დაწესებულება, კოოპერატივები, მცირე საწარმოები, რომლებიც თავიანთი ძალისხმევით ზუგდიდის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის საბინაო-კომუნალური მეურნეობის ანგარიშზე — № 14238 (ორგანიზაციებიდან წილობრივი მონაწილეობით მიღებული თანხები), ჩარიცხავენ შესაძლებლობის ფარგლებში თანხებს, შემდეგ მოვაწყობთ ქუჩებს, ხეივნებს, პარკებს, მცირე არქიტექტურულ ფორმებს, თქვენს წვლილს შეიტანთ მოსახლეობის წყლით მომარაგების, კანალიზაციის ქსელის გაფართოების და სხვა სამუშაოებში. გაზეთ „ოდიშის" მეშვეობით დაწვრილებით იქნებით ინფორმირებული იმის თაობაზე თუ ვინ რა თანხა, რამდენი რესურსი შემატა ქალაქს და როგორ იხარჯება ისინი.

გვინდა მოგმართ — ყველას გინდ ქალაქში აწარმოებს მშენებლობას. სამშენებლო მოედნები მოუწესრიგებელია, შეიძლება ითქვას, ნაგავსაყრელადაა ქცეული კოოპერატივები, კომერციული მაღაზიები მომრავლდა თითქმის ყველა ქუჩაზე, ცენტრშიც და გარეუბნებში, მათი სამშენებლო ნაგავისაგან გადახერგილია ტროტუარები. გვჯერა რომ ყველა თქვენთაგანის საქმედ იქცევა ამ პრობლემის გადაწყვეტა. თვითნებურად ნუ გადავტვირთავთ ქალაქის ქუჩებს კომერციული მაღაზიების და ავტოსერვისის მიმანიშნებელი ისრებით. სანამ, საქმე ადმინისტრაციულ ორგანოებამდე მივა შეგნებული საზოგადოებისათვის მოუთმენელი პრობლემებისაგან ჩვენითვე განვთავისუფლდეთ.

მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებთან მომავალი წლისათვის დაგეგმილი გვაქვს ბავშვებისათვის მოვაწყოთ გასართობი ზონები. გთხოვთ ხელს ნუ შეგვიშლით თვითნებურად დადგმული გარაჟებით, ბავშვებს ნუ მოუსპობთ იმის საშუალებას რომ ითამაშონ, გაიხარონ.

სპეციალისტთა პროგნოზით უახლოეს 5 წელიწადში ქ. ზუგდიდში მოსახლეობა 5 ათასით გაიზრდება და 63 ათასს მიაღწევს. 2010 წლისათვის, რომლის შესაბამისადაც არის გაწერილი ქ. ზუგდიდის განვითარების გენერალური გეგმა, მოსახლეობა 80 ათასამდე მოიმატებს.

შესაბამისად გადიდდება ქალაქის განაშენიანებისათვის გამოყოფილი თანხები, ყოველ მის მცხოვრებზე საერთო საცხოვრებელი ფართობის უზრუნველყოფის ნორმა 1995 წელს უნდა შეადგენდეს 15 კვ. მეტრს, 2010 წლისათვის — 18 კვ. მეტრს.

ქ. ზუგდიდში დღეისათვის ბინის მიღების აღრიცხვაზე იმყოფება 700-მდე ოჯახი, აქედან სხვადასხვა შეღავათებით პირველ რიგში დაკმაყოფილებას ექვემდებარება 150-ზე მეტი, ისინი რიგში დგანან 1971 წლიდან (მრავალშვილიანები, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები, პედაგოგები და ა. შ.) საცხოვრებელი ბინის დეფიციტი გამოწვეულია იმით, რომ ბოლო 10 წლის მანძილზე კომუნალური სახლი გაშენდა მხოლოდ ერთადერთი 54 ბინიანი, ჩიჩუას ქუჩაზე და ისიც განაწილდა იმ მოქალაქეებზე, ვისაც ურიგოდ ეკუთვნოდა, შეღავათებით.

ჩვენ გვინდა განვამტკიცოთ და გავაფართოვოთ საბინაო მშენებლობის ფინანსური საფუძველი არა მარტო სახელმწიფო, საიჯარო, კოოპერატიული, საწარმოების სახსრების, არამედ სესხის, ბანკის კრედიტების, აგრეთვე მოსახლეობის სახსრების ხარჯზე. აქ დიდ მხარდაჭერას ველით ქალაქის სამშენებლო ორგანიზაციებისაგან, ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს, № 12 სამშენებლო ტრესტის ხელმძღვანელებისაგან. ქალაქის მსხვილ სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელებს ვთხოვთ მეტი ენერგია მოახმარონ თავიანთ მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის საქმეს. ისევე როგორც ამას აკეთებს საწარმოო გაერთიანება „საქქალაქმშენის", ფაიფურის ქარხნის, მანქანათმშენებელი ქარხნის ხელმძღვანელობა.

ამასთანავე აუცილებლად მიგვაჩნია დღეისათვის რამდენიმე აუცილებელი თქვენთვის საინტერესო ინფორმაცია მოგაწოდოთ:

— ქალაქის პრეფექტის ბატონ თამაზ ჟორჟოლიანის ინიციატივით ამ რამდენიმე დღის წინ რესპუბლიკის მთავრობის დონეზე გადაწყდა ჭვარი-ზუგდიდის წყალსადენის მშენებლობისათვის საჭირო თანხების გამოყოფა და ვფიქრობთ უახლოეს 3-4 წელიწადში ზუგდიდის მოსახლეობისათვის მოხსნილი იქნება წყლის პრობლემა. ქალაქი მიიღებს 1000 ლ-წმ წყალს. (ამჟამად ფაქტიურად საშუალოდ სასმელ წყალს ქალაქი ღებულობს 880 ლ. წმ).

უკვე გადაწყდა რიხო-ცხირის წყალსაქაჩ სადგურში ელექტროენერგიით ორმაგი კვების პრობლემა, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს ქალაქისათვის წყლის მოწოდების სტაბილურობას.

— წლის ბოლომდე გადავწყვეტთ ჩიჩუას ქუჩაზე საცხოვრებელ სახლებთან, მარქსის [illegible] საცხოვრებელ სახლებთან და კომუნალური მეურნეობისათვის ჭაბურღილების მოწყობის საკითხს, რითაც ქალაქის კომუნალურ ბინებში მთლიანად მოიხსნება პრობლემა სასმელი წყლის მიწოდებისა. (იგულისხმება ელექტროენერგიის სტაბილურად მიწოდებისას).

— 1992 წლიდან დაგეგმილი გვაქვს ქალაქის წყალსადენის მიგა ქსელის რეკონსტრუქცია-გაფართოებისათვის გაიხარჯოს 800 ათასი მანეთი.

— გვაქვს პროექტი, რომლის მიხედვითაც ქალაქის კანალიზირება განხორციელდება მთლიანად. ამჟამად ქალაქის ქუჩების 35 პროცენტია კანალიზირებული. საჭირო იქნება 610 ათასი მანეთის მიღების სამუშაოების ჩატარება, რის განხორციელებასაც მომავალ ორ წელიწადში ვაპირებთ.

— ქალაქის 28 საქვაბიდან 22 დღეისათვის მწყობრშია. ამასთანავე გაცნობებთ, რომ ვიწყებთ ერისთავის ქუჩის საქვაბის რეკონსტრუქციის სამუშაოებს. ყველა ღონეს ვხმარობთ თერმული წყლით გათბობის მოსაგვარებლად 20 დეკემბრიდან (აქ ხერიოზული ტექნიკური შეფერხებები გვქონდა, ჭაბურღილებში დაიკარგა წყლის მარაგი).

1991 წლის 10 დეკემბრის მონაცემებით ქალაქში თბომეურნეობის ხაზით გვაქვს მარაგი 15 დღის საწვავისა, ვმუშაობთ მისი შემდგომი შევსებისათვის.

— რესპუბლიკაში ელექტროენერგიის და საწვავის დეფიციტის გამო კარგ ამინდებში იძულებული ვიქნებით დილის 11 საათიდან 4 საათამდე ვაწარმოოთ გათბობის სისტემის გამორთვები.

— საბინაო-კომუნალური მეურნეობის განყოფილებაში არის სადღეღამისო მორიგეობა ზამთრის თბობის სეზონთან დაკავშირებით. შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონით: 2-34-17.

— ენგურქალაქკომბინატის მიმართულებით ტროლეიბუსის მარშრუტზე მოსარგებლეებს გაცნობებთ, რომ ვაწარმოებთ მესხიას ქუჩაზე მდებარე № 8 ტროლეიბუსების ქვესადგურის მაღალი ძაბვის ხაზის მშენებლობას და 25 დეკემბრისათვის ამ მარშრუტზე იმოძრავებენ ტროლეიბუსები.

— მოსახლეობას, საწარმოებს, დაწესებულებებს თხოვნით მოგმართავთ წლის ბოლომდე ქუჩების მიხედვით გავაფორმოთ ხელშეკრულებები საოჯახო ნაგავის გატანაზე კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახურებთან.

ცნობები შეგიძლიათ მიიღოთ ტელეფონით: 2-85-14.

— ჩვენ ვიცით, რომ ბევრ კომუნალურ საცხოვრებელ სახლს აწვიმს, სადარბაზოები არ არის შემინული, მოუწესრიგებელია ელექტროგაყვანილობა, არა გვაქვს თუნუქი, ხის მასალა, ელექტროკაბელი, თანხებს ამ მიმართულებით გამოვნახავთ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, გართულებულია აღნიშნული მასალების შეძენა. მიუხედავად ამისა ამ დღეებში დავხურავთ ერისთავის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ სახლს, ამასთანავე თქვენი თანადგომის თუ დახმარების შემთხვევაში გთხოვთ მოგვმართოთ სახლმმართველობაში ტელ. 2-48-98.

კარგი ინიციატივა გამოიჩინა ინგირის აგროსამრეწველო კომბინატის დირექციამ (დირექტორი ლ. კითანავა). როცა საკრებულოს გადასცა უსასყიდლოდ თვითმცლელი ავტომანქანა დასუფთავების საჭიროებისათვის. გვინდა გთხოვოთ ქალაქის და რაიონის საწარმოებს, დაწესებულებებს, აქტიურად გამოეხმაურონ აღნიშნულ ინიციატივას და პრაქტიკულად დაგვეხმაროთ მანქანების პარკის გაძლიერებლად, არ გვყოფნის დასუფთავების თვითმცლელი მანქანები, ტრაქტორები, ექსკავატორები; სხვა სპეციალური დანიშნულების მანქანები. საწარმოო გაერთიანება „საქქალაქმშენის" დირექციამ (ო. ფაცაცია) უკვე გადმოგვცა ექსკავატორი და 15 ათასი მანეთი ნაგავსაყრელი ტერიტორიის მოსაწყობად, ასევე ენგურჰესის მშენებლები გვპირდებიან ამ დღეებში გადმოგვცენ ქალაქგანათების საჭიროებისათვის მანქანა „ფურაფი". ჩვენი კოლექტივის სახელით მადლობა მათ ქალაქის პრობლემების გადაწყვეტაში პრაქტიკული თანადგომისათვის.

— გვინდა განსაკუთრებული თხოვნით მივმართოთ ხორცკომბინატის ხელმძღვანელობას. გაატარონ მკაცრი ზომები სანიტარული რეჟიმის დასაცავად. არ დაიშურონ მათ შესაძლებლობაში არსებული სანქციები.

— ჩვენი მიმართვის გაზეთში გამოქვეყნების დღიდან ვაფრთხილებთ ქალაქის მოსახლეობას ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურის განკარგულების შესაბამისად ქალაქში მოხეტიალე პირუტყვს (ძროხები, ღორები) ყოველგვარი დამატებითი შეხსენების გარეშე ჩავაბარებთ პირუტყვის გადამამუშავებელ ქარხანას, მეპატრონეებს ვთხოვთ შემდეგ მიაკითხონ ამავე ქარხანას.

ძვირფასო ზუგდიდელებო!

გაზეთ „ოდიშის" საშუალებით მთელს ქალაქს ეცოდინება ყველა ორგანიზაცია, კოოპერატივი, პიროვნება, ვინც ქალაქის აღმშენებლობის კეთილშობილურ საქმეში მიიღებს მონაწილეობას.

განა შეიძლება გულგრილად ვუყურებდეთ მდინარე ჩხოუშიის კალაპოტში ნაგავის ჩამყრელ მოქალაქეებს? დალეწილ და დამტვრეულ ტელეფონის აპარატებს, რომლებსაც უპატრონო მოქალაქე უდიერად ეკიდება, ძროხებისა და ღორების მიერ გადათელილია გაზონები და ბულვარები, მათი მეპატრონენი კი გულარხეინად უყურებენ ამ სისაძაგლეს, ვინ ამსხვრევს ღამის ნათურებს, ქალაქში ბაზრის წინ მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში? ყოვლად მოუთმენელია ასეთი თვითნებობა.

ქუჩებში არ იწმინდება წყალსაწრეტი არხები, ეს ხომ თქვენი სახლის, საწარმოს წინ ხდება. გთხოვთ კიდევ ერთხელ დაფიქრდეთ ურჩიოთ მეზობელს, ნაცნობს თუ უცნობს.

ქალაქის მწვანე მეურნეობას დღეისათვის 65 „ჰექტარი" უკავია, სადაც 114 სახეობის 55 ათასზე მეტი ხე და ბუჩქია. გვინდა ყოველწლიურად გავაგრძელოთ მწვანე „ფილტვებით" ქალაქის შევსება. და ამ დროს ზოგიერთი მოსახლე უნებართვოთ ჭრის ქუჩებში ხეებს. შენიშვნის მიცემისას, შეურაცხყოფასაც კი გვაყენებენ. ერთმანეთისადმი ასეთი დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს.

ზუგდიდი უძველესი ტრადიციების ქალაქია და არ შეიძლება შევეგუოთ დღეს არსებულ უწესრიგობას.

ყველა სიძნელე დაიძლევა თუ საერთო ძალისხმევაა, საერთო მხარდაჭერაა. და ჩვენც დიდ თანადგომას მოველით ჩვენი ქალაქის მოსწავლე-ახალგაზრდობისაგან. მათ მიერ დარგული თითო ძირი ხე კონკრეტული წვლილი იქნება საერთო საქმეში.

განსაკუთრებით გვინდა მოგმართოთ სავაჭრო და მომსახურების სფეროს ობიექტებში მომუშავეებს. უნდა გაძლიერდეს თქვენი პასუხისმგებლობა როგორც შიგა ინტერიერების, ასევე მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობისათვის, სისუფთავისათვის, დღემდე კი სამწუხაროდ ეს ასე არ ხდება.

ყოველკვარტალურად ჩვენ შევაჯამებთ, ძვირფასო ზუგდიდელებო, თქვენს ნამოღვაწარს მშობლიურ ქალაქში და მთელს ქალაქს გავაგებინებთ ვინ ერთგულია და ვინ არა. გაზეთში სისტემატურად გამოვამზეურებთ ვინც ანაგვიანებს ჩვენს ქალაქს, ხელს გვიშლის მისი კეთილდღეობისათვის.

ქ. ზუგდიდის საბინაო-კომუნალური მეურნეობის 700 კაციანი კოლექტივს სჯერა, რომ საზოგადოებრივ აქტიურობას გამოიჩენთ თქვენი მშობლიური ქალაქის კეთილმოწყობად, სანიმუშო სისუფთავის მისაღწევად, ეკოლოგიური გაჯანსაღებისათვის, ქუჩების, გზების, გაზონების, სკვერების მოვლა-ცდილების დასამშვენებლად, ერთი სიტყვით, საქალაქო პრობლემების გადაწყვეტაში ერთიანობის მისაღწევად.

ჩვენ დიდ მხარდაჭერას და დახმარებას ვგრძნობთ ქალაქის და რაიონის პრეფექტურის ხელმძღვანელებისაგან, საკრებულოს დეპუტატებისაგან. დარწმუნებული ვართ თავის განსაკუთრებულ სიტყვას მთელს ამ საქმიანობაში ისინი იტყვიან. მათი დახმარებითა და მხარდაჭერით შეიქმნება საზოგადოება „ზუგდიდელი", სწორედ ასეთი საერთო სახალხო განწყობა და შემართება მიგვაღწევინებს იმას, რომ გვეამაყებოდეს ზუგდიდელის სახელი, ჭეშმარიტად ვზრუნავდეთ ჩვენი ქალაქის ალმავლობაზე.

ქ. ზუგდიდის საბინაო მოსამსახურეთა სახელით:

ნუგზარ მალაზხია, ქ. ზუგდიდის საბინაო-კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგე, ედუარდ გვილია, მთავარი ინჟინერი, ვენია ჩარგაზია, კეთილმოწყობის კომბინატის უფროსი, ვალერი ბარაბაძე, კეთილმოწყობის კომბინატის მუშა, კარლო ჩოკორაია, გამწვანების კანტორის უფროსი, თინა ლომაია, გამწვანების კანტორის მუშა, გივი კილასონია, წყალსადენ-კანალიზაციის სამმართველოს უფროსი, ზურაბ კოჩუა, წყალსადენ-კანალიზაციის სამმართველოს ზეინკალი, თამაზ წურწუმია, თბომეურნეობის კანტორის უფროსი, ელგუჯა ჯანჯღავა, თბომეურნეობის კანტორის მუშა, ზურაბ ბასილაია, კომუნალური მეურნეობის მუშა-

სახლმმართველობის უფროსი, ომარ და ჟორა ძიძიგურები, მეექსკავატორეები, ვლადიმერ ქუხილავა, სასტუმრო „ოდიშის" დირექტორი, რევაზ ჩიფია, ტროლეიბუსების სამმართველოს უფროსი, ზაზა შელია, ტროლეიბუსის მძღოლი, დავით ესებუა, ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს უფროსი, დათო კარკაცხელია, ტექნიკოსი, სერგო აკობია, საბინაო სექტორის გამგე, გია ჯგუშია, სარემონტო- სამშენებლო სამმართველოს უფროსი, თენგიზ ლორდია, „საქგანათების" ზუგდიდის უბნის უფროსი, გივი ხვიჩია, „საქგანათების" ზუგდიდის უბნის ელ. მონტიორი, ჟორა ლომაია სახლმმართველობის მუშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტის ათი ლექსი

# სინათლე წყვდიადში

ჟამი ხილვების, აღმოჩენის, უცხო ტკივილის
დევს ახლა ჩემს უახლოეს წარსულში
ახალშობილის სუნთქვასავით თბილი და მკ[illegible]ს
რატომ შემახსენე თავი მეუფეო,
აქ როგორ გაჩნდი,
რამ მოგიყვანა ჩემს ცივ წლვიმეში
ასე უხმოდ და ასე ფარულად..
მე შენზე ფიქრსაც გადავეჩვიე
რა უნდა მითხრას ახლა ამურმა?
ჩემი სიზმარი რამ დაგასიზმრა,
სად დაგეწია ჩემი ქვითინი?
შენ ღვთისმშობელი ხომ არ გგონივარ,
მე მარიტა ვარ, ტალახმიყრილი.
თქვი, რით უშველი ჩემს შეშლილ ლამეს,
როგორ ამაწყობ ისევ თავიდან,
შენ ვისაც ეძებ
ის მე არა ვარ,
ის მე არა ვარ,
ის ხომ წავიდა!
...რა მოგაქვს ჩემთან
შიში, ტანჯვა თუ უარყოფა,
თუ სიყვარული ბირველყოფილი..
იმ მთვარისფერი თუ გახსოვს ახლა,
ან ქუჩა მთვარით გადაფოთლილი...
...ო, ნატვრისხეო,
არ მინდა გავლე ნამდვილს და ლამლოლს,
ხოლო იგავი, რასაც მიამბობ
შემომრჩეს, როგორც
დაუდგენელი ხაზოვანი რამე წარწერა!

* * *

საიდან დაგვამახსოვრდა ერთმანეთი,
მე ხომ უძველესი დროით ვთარიღდები
და ხელისგულებით მომაქვს
დელფოს მინიატურული ტყე.
შენ კი ტროპიკული პეიზაჟების [illegible]
გიკაწრავს სულს და ჩემს
გეომეტრიულ ეპოქას იკვლევ.
როგორ დაძებნი
ახლა ჩემში
არქაულ ფერებს
ველურ ტახებზე მონადირეს!?.

შენ შეგიძლია იყო მართალი
უფლის და კაცის ნების წინაშე...
შენ შეგიძლია იყო მაღალი
და ამ მაცდური ყოფის სიმლაშე
გახრისო შენი შიშველი ტერფით..
შენ შეგიძლია გტკიოდეს მწარედ
სული და ხორცი,
ნეკნი და თიხა,
დაგაჰრჩოს ჩემმა ცრემლმა და

* * *

„ნუ ქედმაღლობ,
არამედ გეშინოდეს“
პავლე მოციქული. 11. 20

შენ გიყვარს მორჩილები.
იციან ეს მორჩილებმა.
და საქმე წამხდარები,
და საქმე მოშლილები,
და სიყვარულობანას
თამაშში გართულები
იცვლიან ქალალდის ქუდებს...
...კი. ხომ ხედავ?
თავებს გაწონებენ
მორჩილის ნილბებით.
და შენც კმაყოფილი
მორჩილთა მორჩილებით
ქედმაღლობ.
თვით ბრძენთა მამათა წინაშე!

* * *

... და იყო გელათი,
და ყავდა პეტრიწი,
და იდგნენ ისინი
ანტიურ ნათელში!
და მქონდათ გრაალი
მითიურ ზურმუხტის!
და თითონ ათინა,
და თითონ შარტრი,
და თვით ბიზანტია
(ძ)ალყოფდა მეუფებას
მისი გოდლებისას..,

## ხოხა დავითაია
# ცისფერი ღამე

ჯემალ სართანიას

ბოლმამ,
ჩემმა სიზმარმა გატიროს
დიდხანს...
შენ შეგიძლია გიყვარდეს ვილაც,
გძულდეს და პირში შეაფურთხო
ჰუჰყსა და ნაგავს!

შეუნდე ძმაო
ამ ამღვრეულ და დაღლილ
ქალაქს,—
მე ერთ სიმღერას,
ერთ სიმღერას გემათხოვრები..,

* * *

„წყალნი წავლენ და წამოვლენ“...

კი.
ვიცი ჩემი პერანგი
(მე საძმო პერანგს ვგულისხმობ)
შენ უკვე აღარ გშირდება
და თვალი ნათელმხილველი
ყოველი მხრიდან გიჭრის.
...ვაი რომ აღარ გაწვალებს
ის ჩემი თოვლის ლაზარე,
სულ მთლად შიშველი ბიჭი.
—რაკი გაიყო გზები და

შენ სხვა სიბრტყეზე აღმოჩნდი
მე არც ვაბირებ დავას...
დრო არ ჩერდება. იცი.
რას იზამ, ეგეც გავა!
—მე კი ამ შეშლილ სტრიქონებს
თეთრი პურივით დავლეჭავ
და გავიშიშვლებ ლამეს.
მერე წიქარაც მიპოვის.
ალბათ წიქარაც მიპოვის...
წყალნი მოვლენ და წავლენ..,

* * *

ეჰ, ღუბკრულის მბრძანებელო,—
ამ დაბნელებულ ციხე-კოშკებს
რას ემართლები?
—რად გაგიხდია ეს ველობი
ზღარბთა სამკვიდროდ?
—შენს ულვთოობას და შენს ხიხრწს
ამ კეთილ მონებს რატომ აბრალებ
და შიშველ თავზე რად იყრი ნაცარს?
..შენ გაგიცუდდა ყველა სიტყვა,
ყველა თათბირი,
ხელში ჩაგემსხვრა ყველა კერპი
მოცალეობის ჟამად შექმნილი
და ელამ თვალში სიმყუდროვე ჩაგიდგა ვგონებ!
...აწ არც მეფე ხარ
და აღარც მამა
და ამიტომაც
შენს ბოროტეულ სიცრუეში დაიმარხები!!!

* * *

მე მეშინია ამ ყრუ ხინამდვილის
ამ თვალებახვეული ყოფის,
და თოფის—
გადახერხილი, მახინჯი თოფის
თორემ, ნამდვილი იარაღი —
იარაღია!

* * *

განა იმისთვის გამოვფინე
ცისარტყელა —აღთქმა—ნიშანი,—
რომ გევლო შემდეგ
გარყვნილ ზნით და წამხდარი ხორცით!?
ო, უმეცარო მოდგმავ ადამის—
მე თვითონ მამას დავაწყევლინე
უმცროსი ვაჟი, ვინაც
გასცა მამის სიშიშვლე.
ამ ცოდვებისთვის ისევ გისისხლებ
და დაგიჩოქებ სნეულ მეფეებს...

### დედა. 18 ივლისი.

...საიდან შემომეპარე,
ანდა რომელი კარით?
სახე რად ჩაგნაცრებია,
რად გივარვარებს თვალი?
—წამიყვან? კარგი.
დავტოვებ ამ ჩემს პატარა
საყდარს,

თუმცა, სულ სხვაა იგი,
სხვისას არაფრით არ გავს.
ჩემს ასულს ჭვარი სწერია,
მე უნდა დავწვე შენთან.
ამალამ ჩემი ჭერია.
(ფერი ქორწინებს ფერთან)
ნუ აგვიანებ. წავიდეთ.
ქმარ-შვილი ვახშმად მელის.

ჩქარა... ო... ჩქარა..,
ლამდება.
შემონაშველე ხელი.
..,საიდან შემომეპარე
ანდა რომელი კარით?
სახე რად ჩაგნაცრებია,
რად გივარვარებს თვალი?..

# აღვადგინოთ კარგი ტრადიცია

სათაკილოა, რომ დღეს ქალაქის უსუფთაობაზე გვიწევს საუბარი, მაგრამ რა ვქნათ, ვიდრე ქუჩაში თუ საწარმო-დაწესებულებებში ანტისანიტარია თვალშისაცემია, ამ თემაზე ლაპარაკიც არ დამთავრდება.

რამდენადაც ვიცი, ადრე ქალაქში რეგულარულად ეწყობოდა სანიტარული დღე, რასაც გარკვეული დადებითი შედეგი ახლდა. ნუთუ არ შეიძლება ისევ აღვადგინოთ კარგი ტრადიცია, თვეში ორჯერ მოვაწყოთ შაბათობა და ყველამ წვლილი შევიტანოთ სისუფთავის დაცვის საქმეში. არადა, მართლაც სამარცხვინო მდგომარეობა სუფევს ქალაქის ზოგიერთ უბნებში. განსაკუთრებით კი ბაზრის წინ, ფოსტაში, სა[illegible]ადმყოფოს კეთილმოწყობილ შესასვლელთან... ყველგან სიგარეტის ნამწვი ყრია, პირთაწლე სავსეა სანაგვე ურნები... ათასნაირ სიბინძურეში იჩიჩქნებიან მაწანწალა ძაღლები და კატები... ყველამ პატივი უნდა ვცეთ დამლაგებლის შრომას. სამწუხაროდ, ეს ხშირად არ გვახსოვს. მეტი ყურადღება მართებთ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს დამლაგებლის საქმიანობისადმი ამ უკანასკნელთაგან ბევრი ზერელედ ასრულებს თავის სამსახურებრივ მოვალეობას.. მართალია, დღეს საქართველოს უჭირს, მაგრამ იმას კი არ გვეუბნებიან ხელი ავიღოთ სანიტარულ [illegible]ზე.

მინდ[illegible] მკით[illegible]ველის ყურადღება მივაპყრო კიდევ ერთ გარემოებას.. კერძოდ, გულსატკენია, რომ ჩვენი ქალაქი გახდა პირუტყვისა და მაწანწალა ძაღლების სათარეშო. რკინიგზის ვაგზლის ტერიტორიაზე გაშენებული მარადმწვანე ხეები საქონელმა პირწმინდად გაანადგურა. ზოგიერთი საწარმო-დაწესებულების ეზო ნაომარს ჰგავს, ისეა გაჩანაგებული ხე-ბუჩქები. მკაცრად უნდა მოეკითხოს იმ მოქალაქეებს, ვინც უმეთვალყუროდ უშვებს პირუტყვს ქალაქის ტერიტორიაზე...

თუ მსგავსი განუკითხაობა არ აღმო[illegible]ფხვრა, ღმერთმა უწყის როდის გვექნება ნანიმუშო სისუფთავისა და წესრიგის ქალაქი.

ვ. პერტია,
პენსიონერი.

იჯარა

# საქმით დავამტკიცოთ...

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში იჯარის დებულების პროექტის გამოქვეყნებამ, მისმა განხილვამ, შვა სიახლეები, მას შემდეგ, რაც კოლმეურნეობის დამოუკიდებლობის ელემენტები გაჩნდა გარკვეულ მოგებასთან გვაქვს საქმე. ყველა მოიჯარემ მთავარ მიზნად დაისახა არსებული რესურსების ოპტიმალური განლაგება, გლეხკაცის დახმარება.

გლეხს ნამდვილად სურს თავისი წვლილი შეიტანოს სახალხო საქმეში და საქმით დაუმტკიცოს მამულს სიყვარული.

იჯარულ შრომაზე ყურადღების გამახვილება სწორი გზაა. ამავე დროს ერთნაირი სულისკვეთების ადამიანები ერთიანდებიან, ბჭობენ, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და ერთნაირი სულისკვეთებით აკეთებენ საქმეს.

ჩვენ იჯარის დანერგვის მეწლეულად ვითვლებით რაიონში, წლითი-წლობით ვაგროვებთ გამოცდილებას, ვშრომობთ მაღალეფექტურად და ამით იჯარადარიც კმაყოფილია და მეიჯარეებიც.

ჩაის სეზონი ისე დავამთავრეთ, რომ ბუგი არავის ეთქმის. ყურადღება გავამახვილეთ ხარისხზე, საპექტარო მოსავლიანობაც ავამაღლეთ და მან რვა ტონას გადააჭარბა.

მხარეთა შეთანხმება იწვევს გარკვეულ შედეგებს. როგორც დებულებაშია ნათქვამი იჯარა შეიძლება იყოს როგორც მოკლე, ისე გრძელვადიანი. ჩემის აზრით უფრო მომგებიანია როგორც სახელმწიფოსათვის, ასევე გლეხისათვის გრძელვადიანი იჯარა.

ჭ. ფიფია,
აგრონომი, ჩხორიის კოლმეურნეობის მეიჯარეთა [illegible]დის ხელმძღვანელი.

## ვამოსათხოვარი

ამ ერთი წლის წინ უცნაურად დიდი სიყვარული გეწვია. სითბოთი და სიხარულით გაასხივოსნე შენი სათაყვანებელი მეუღლის მოწავალი. სულ ერთი თვის უკან გოგონა შეგეძინა, როგორ დაჰფოფინებდი პატარას. მკლავზე გადაიწვენდი და საათობით თვალებში ჩასცქეროდი შენს ანგელოზს. იქნებ გრძნობდი შენი ხანმოკლე სიცოცხლის დასასრულს და ახალშობილს უხმოდ პატიებას თხოვდი. სიკეთის განსახიერება იყავი, ამიტომაც იყო ალბათ, შვებულების დროსაც არ გტოვებდნენ მარტო შენი მეგობრები. შენს მოსიყვარულე გულს ყველას თანაბრად უნაწილებდი, ცდილობდი მათთვის რითიმე გესიამოვნებინა და ამას შეუნიშნავად ახერხებდი კიდეც. იმ დღესაც შენს სანახავად მოსული მეგობრები გააცილე და თურმე, მაშინ დაიწყო შენი სიცოცხლის დასასრულის დასაწყისი. ერთი დღე და ღამე ებრძოდი სიკვდილს და უჩვეულოდ სიცოცხლეზე შეყვარებულმა, სიცოცხლე უხმოდ დაასრულე.

ვაგლახ! რომ უკუღმართია ბედისწერა. ზეცას შეერთებული შენი სული და მაღალი ღმერთი დაიფარავს შენს პატარა ანას, რომელსაც დედის რაობა ჯერაც გაცნობიერებული არა აქვს და შენს საფიცარ მეუღლეს, რომლის იმედიც ახლა ის პატარაა.

ანა ბახარია—მარადჟამს გვემახსოვრები, არასოდეს დავივიწყებთ შენს წმინდა სახელს, არც შენს პატარას მოვაკლებთ მზრუნველობას. შენი მეგობრები არ დავავიწყებთ მას დედის წმინდა ხატებას.

ხანმოკლე იყო შენი ცხოვრება ანა, მაგრამ შენებურად უჩვეულოდ ლამაზი და მშვენიერი.

სამარადისო ხსოვნა [illegible] შენ. წმინდა ანგელოზები ფარავდეს შენს ლამაზ ოჯახს.

**ბიოლოგიური ლაბორატორიის კოლექტივი.**

## მ. როგავა—ქვარაია

ღვაწლმოსილ პედაგოგთა რიგებს გამოაკლდა შრომის ვეტერანი მარგო პავლეს ასული როგავა-ქვარაია.

დაიბადა 1913 წელს ყულიშკარში. მოღვაწეობდა ჯერ მშობლიური სოფლის, შემდეგ კი ჭითაწყარის საშუალო სკოლაში, სადაც იმუშავა წლების მანძილზე დაწყებითი კლასების მასწავლებლად.

საოცრად სისხლხავსე და დაუღვრომელი ადამიანი იყო მარგო პავლეს ასული. მისი კეთილი გული ულევ სიყვარულს იტევდა, რასაც უშურველად გადასცემდა ყველას. ქალბატონი მარგოს ხელში გაიარა თაობებმა, ვინ მოსთვლის რამდენ [illegible] თვალი, შეაყვარა [illegible] ენა, აზიარა ერის სიყვარულს.

ღირსეულ პედაგოგს მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები. მისით დაფრთიანებული ადამიანები არასოდეს დაივიწყებენ ვალ მოხდილს.

ნათელი და დიდება მის ხსოვნას. იგი იცოცხლებს ყველა იმათ გულში, ვისაც ჰქონია ამ აწ უკვე მარადისობაში გადასულ ადამიანთან შეხვედრის ბედნიერება.

**მეგობრები.**

**რედაქტორი**
**აკ. შანტურია.**

## ვალერიანე გოროზია

ქალაქ ზუგდიდის პურკომბინატის კოლექტივს გამოაკლდა ღვაწლმოსილი მუშაკი ვალერიანე (ლუდუკი) ამბაკოს ძე გოროზია.

დაიბადა 1926 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენში, 1945 წელს დაამთავრა ნარაზენის ჩაის ტექნიკუმი და 1949 წლამდე მუშაობდა ნარაზენის ჩაის მეურნეობაში აგროტექნიკოსად. ხოლო 1949 წლიდან პურის ცხობის სისტემაში, 1953 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კი ზუგდიდის პურკომბინატში უმუშავნია მუშად, ბრიგადირად, საცხობის გამგედ, ცვლის უფროსად, საწყობის გამგედ. 1988 წელს გავიდა პენსიაზე და სიცოცხლის ბოლო თვემდე მძიმე სენით შეპყრობილი პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას.

წავიდა ჩვენგან მართალი, პატიოსანი ოჯახისა და მეგობრებისათვის თავდადებული ადამიანი და დაგვიტოვა ნათელი კაცის ხსოვნა.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

**ქ. ზუგდიდის პურკომბინატის თანამშრომლები.**


**ივერთბანკი მრეწვმშენბანკის საოპერაციო**

**სამმართველო 000161700, კოდი 52192 (468040)**

თბილისის ჟურნალისტთა უმაღლესი სკოლა იწვევს მხოლოდ მათ, ვისაც ნამდვილად სურს სწავლა. სწავლისათვის გაიღებთ გარკვეულ თანხას, მაგრამ ნაყოფიერად გამოიყენებთ დროს, შეიძენთ ღრმა ჰუმანიტარულ განათლებას და საერთაშორისო დონის პროფესიულ ოსტატობას.

ტრადიციულ პროგრამებთან ერთად შეისწავლით მენეჯერობის და მარკეტინგის „ნოუ-ჰაუ"-ს და რეკლამის თეორიას, იურისპრუდენციისა და ბუნებათხარგების თანამედროვე პრინციპებს. ამასთან ერთად უცხო ენებს, მჭევრმეტყველებას, პლასტიკას, ქცევის მანერებსაც კი... რაც მომავალში, თქვენი, როგორც პროფესიონალი ჟურნალისტის წარმატების საწინდარი გახდება.

სწავლების ხანგრძლივობა 4 წელია. უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის 2 წელი. ჟურნალისტთა უმაღლეს სკოლასთან მოსწავლეთა მოსამზადებელი კლასებიც იარსებებს.

აბიტურიენტებს შევარჩევთ შემოქმედებითი ტურის საშუალებით. სწავლება დაიწყება იანვრიდან.

აბიტურიენტებს ვთხოვთ განცხადებებთან ერთად წარმოადგინონ 4 ფოტოსურათი, განათლების მოწმობა, ავტობიოგრაფია, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

საბუთებს მივიღებთ 15 დეკემბრიდან. ცნობებისათვის მოგვმართეთ: თბილისი, ბარნოვის ქ. №170, მე-8 სართული, ოთახი 807, ტელ: 29-26-08.


ქ. ზუგდიდის თბომეურნეობის საექსპლოატაციო სარემონტო კანტორაში ზამთრის თბობის პერიოდში იქმნება სადღეღამისო მორიგეობა. თბოსისტემის ავარიული შემთხვევის დროს, გთხოვთ დარეკოთ ტელეფონზე 2-24-17.

**თბომეურნეობის ადმინისტრაცია.**

## მოქალაქეთა საყურადღებოდ!

მცირე საწარმოო „მედეას" მოწვევით ქალაქ ზუგდიდში ჩამოდის მოსკოვის მაღალკვალიფიციურ ექიმ-სპეციალისტთა ბრიგადა, პროფესორები, თერაპევტი, ნევროპათოლოგი, პედიატრი, უროლოგი, დერმატოლოგი.

სამკურნალოდ გამოწერილი დეფიციტური მედიკამენტები გაიცემა იქვე აფთიაქიდან.

პაციენტთა კვლევა იწარმოებს თანამედროვე უცხოური აპარატურით. საჭიროების შემთხვევაში გაიცემა მიმართვა სამკურნალოდ მოსკოვის პრესტიჟულ სამედიცინო დაწესებულებებში.

მიღება იწარმოებს 16 დეკემბრიდან, დილის 8 საათიდან ყოველდღე, გარდა კვირისა, კობულეთის ქუჩა №11-ში შ. ალანიას ბინაში.

**მცირე საწარმოო „მედეას" დირექცია.**

## უ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

ადამიანის ჯანმრთელობა დიდად არის დამოკიდებული დროულად ჩატარებულ პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე და სწორად დასმულ დიაგნოზზე. ამ მიზნით თქვენ მოგემსახურებათ ქ. ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ახლად გახსნილი ექოდიაგნოსტიკის კაბინეტი, სადაც შეგიძლიათ გამოიკვლიოთ: ღვიძლი, კუჭქვეშა ჯირკვალი, სანაღვლე გზები, თირკმლები, ელენთა, საშარდე ბუშტი, სარძეო და ფარისებრი ჯირკვლები, ორსულობა-ნაყოფის მდგომარეობა და ასაკი.

გამოკვლევა ჩაგიტარდებათ ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების იაპონური წარმოების ექოკამერით „ალოკა —500"-ით.

აპარატი ჯანმრთელობისათვის სრულიად უვნებელია.

## წარმოება-დაწესებულებებისა და კერძო აბონენტების საყურადღებოდ!

კავშირგაბმულობის ზუგდიდის რაიონული კვანძის ადმინისტრაცია თხოვნით მიმართავს ყველა აბონენტს დაუყოვნებლივ გადაიხადონ კავშირგაბმულობის საშუალებით მომსახურების დავალიანებები.

გადაუხდელობის შემთხვევაში სატელეფონო კავშირის წესდების შესაბამისად ტელეფონები მოიხსნება და გაცემული იქნება სხვა მთხოვნელზე.

**კავშირგაბმულობის ადმინისტრაცია.**

შვილობილი ბორისი მაქაცარია, შვილები: ვალია, სშურა, ჭონტო, ნათელა მაქაცარიები, შვილიშვილები: დემური, მერაბი, ლიანა, იამზე, ლუიზა რაფავები, ეკა ლაშხია, სიძეები: ჟორჟი ლაშხია, ვაჟა ჭურღულია, მერაბი შელია, გელა კუხალეიშვილი, რძლები ლილუშა, ნატო, აზა, ციცო, დაშა, ციალა, ეთერი, ნუნუ, ძმისშვილები თამშუხუ, ლიგტერი, ლენა ჯიქიები, დისშვილი ჯუმბერ ლატარია, მაზლიშვილები: მურმანი, ნოდარი, ნუგზარი, ლამარა, ნელიკო, იალა, მზია, ანდრო, ნათელა, ტატე, ინვერი, გომოშა, ზაირა სორდია, პატულია ქირია, მამიდაშვილი ტერენტი ხუბულავა, დეიდაშვილები, ბიძაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ვენერა (ზუდუ) შერვაშის ასულ მაქაცარია-ჯიქიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14 15, 16 დეკემბერს, დაკრძალვა 17 დეკემბერს. გამოსვენება 3 საათზე, ქ. ზუგდიდი, დ. აღმაშენებლის 17, დაკრძალვა ს. ყულიშკარში.

მეუღლე გული, შვილები: აბესალომი, ელდარი, დალი, ლილი, მაია, ინეზა, რძლები: ვარდო, ლამარა, ლეილა, სიძეები როლანდ ბელთაძე, სოსო კუკავა, შვილიშვილები: ჯონი, ჯილდა ჯიქიები, მაცაცო, თათია ბელთაძეები, ლაშა, ლადო კუკავები, ძმები: ჰიჰიკო, მაკარი, ძმისშვილები: ნელი, ნანი, მედეა, ირმა, ჯანიერი, ჯამბული ჯიქიები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ორდენ ანტონის ძე ჯიქიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18 დეკემბერს. დაკრძალვა 19 დეკემბერს სოფ. ცაიშში

მეუღლე კატუშა, შვილები: ჯეირანი, სვეტლანა, გიგლა, გულადი, რძლები: დოდო, ემა, ნატო, სიძე გივი ფირცხელავა, შვილიშვილები: მალხაზი, მარინა, მამუკა ფირცხელავები, ეკა, ემა, ლიკა, თეონა ჭურღულიები, დები: დუნია, გული, ლენა, ძმა ვლადიმერი, ბიძა ვარლამი ჯიქია, დისშვილები: რეზო, ზაური, გენო შონიები, ნაზი კანკია, რუსიკო, თენგიზი ცაგურიები, ძმისშვილები: გენრიეტა, ველოდი, იაველი, მურთაზი, ცოლისდები: გოგუცა, ლიანა, თინია, თალიკო, ცოლისძმები: მიშა, გრიშა, შირიმი ხუბუტიები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**კირილე რაჟდენის ძე ჭურღულიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 14 დეკემბერს. გამოსვენება სოფ. ზემო კახათიდან 16 საათზე.

შვილი იზოლდა ტაბაღუა, შვილიშვილები: მაია, კობა, გოჩა, ლათო მიქავები იუწყებიან

**ვაჟა ანდრის ძე ტაბაღუას**

გარდაცვალებას.

[illegible]ო გული, სიძე ნოდარი ქირია, შვილები: თემური, თენგო, ჯამბული, რძლები: მზია ფაჟავა, ხათუნა ბენია, შვილიშვილები ქრისტინე, ნინო ოჯახებით იუწყებიან

**ვალერიანე (ლუდუკი) ამბაკოს ძე გოროზიას**

გარდაცვალებას.

ზუგდიდის საექსკურსიო ბიუროს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბელა ხუბუას ძმის ჟილინის გარდაცვალების გამო.

მამიდაშვილები: შოთა, ქსენია, თალიკო, ვენია აბულაძეები ოჯახებით იუწყებიან ბიძაშვილის

**ვაჟა ანდრის ძე ტაბაღუას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

და ლუიზა, სიძე კოტე, შვილებით ზურაბი, თამაზი, გოჩა კუკულიები, რძალი ირინა კუჭუხიძე შვილებით სოფიკო და სოლომეთი იუწყებიან

**ლიანა (ჩიტო) არჩილის ასულ ჯიქია-გარგულიას** და

**იმედი ერმინეს ძე გარგულიას**

გარდაცვალებას.

შვილი მიშა, რძლები: ნორა, შუშანიკა, სონია სამუშიები, ოლია, ლენა გოგოხიები, სიძე ვალიკო ჯინჯოლავა, ანზორი ტაბაღუა, ვალტერი გაგუა, შვილიშვილები: ზაური, ნატო ჯინჯოლავები, დოდო სამუშია, დისშვილები ნათიკო, ბოჩია, ქიგული გურულები, ძმისშვილები: ნოდარი, გერონტი, მთვარისა, ქვათა, მიშა, ნოდარი, მოლია, ბუცუკი, ქალინა გოგოხიები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავებით იუწყებიან

**ფელიქსა ნაუს ასულ გოგოხია-სამუშიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 14 დეკემბერს. გამოსვენება 4 საათზე, ქ. ზუგდიდი, ქუთაისის ქ. 48, დასაფლავება სოფ. ლიაში (პალურში).

მეუღლე შალვა, შვილები: ელგუჯა, ნელი, გიორგი, გულია ქვანიები, ძმა ვალოდია, ძმისშვილები: ბელა, ვეფხვია, რუსლანი, აზა, სოსო კილასონიები, მაზლები: ირაკლი, ლეო ქვანიები, რძლები: ზაირა, შურა, ციალა, ნორა, ლილი, მერი, მარგო, ლუბა, სიძე ანატოლი ტიტარევი, შვილიშვილები: ნატო, ნინო, აჩიკო, მარინა, ლეონიდი, ანეტა, ლევანი, შვილთაშვილები: ლიანა, ალექსეი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ალექსანდრა (შურა) ლუკას ასულ კილასონია-ქვანიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15, 16 დეკემბერს. დაკრძალვა 17 დეკემბერს სოფ. ჭითაწყარში, გამოსვენება 16 საათზე.

ზუგდიდის რეგიონალური საწარმოო გაერთიანება „ფარმაციის", ბაზის, ლაბორატორიის და ქსელის თანამშრომლები იუწყებიან ფლორა თოდუას დედის

**ანეტა (პაშა) თოდუას**

გარდაცვალებას.


2 33 69. პასუხისმგებელი რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის
ი ნ დ ე ქ ს ი 66507 მდივნის 2 31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21 78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2 47 00,
საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №53, 2;23-07, ტირაჟი 8000 შეკ. №5235